

ორგანზა	უსაფრთხოების მონაცემთა ფურცელი
ORGANZA	შედგენილია ევროკომისიის (EU) 2015/830 რეგულაციის შესაბამისად, 28 მაისის 2015. (REACH) თარიღი: 2017-01-31 განახლება: არ გამოიყენება ვერსია: 1.0

პარაგრაფი 1: ნივთიერების/ნარევისა და კომპანიის/საწარმოს იდენტიფიკაცია

1.1 პროდუქტის იდენტიფიკატორი: **ორგანზა / ORGANZA**

1.2 ნივთიერების ან ნარევის მიზნობრივი იდენტიფიცირებული გამოყენება და რეკომენდებული შეზღუდვები
ნარევის იდენტიფიცირებული გამოყენება: **მცენარეთა დაცვის პრეპარატი**
რეკომენდებული შეზღუდვები: PPs-ის გამოყენების ინსტრუქციების გარდა ნებისმიერი სხვა გამოყენება.

1.3 უსაფრთხოების მონაცემთა ფურცლის მომწოდებლის მონაცემები
ზემლაკოფფ ევროპა ლიმიტედ სპ ზ.ო.ო. / ZemlyakoFF Europe Limited Sp. Z o.o.
აღ. ვილანოვსკა, 83/52, 02765, ვარშავა, პოლონეთი / Al. Wilanowska 83/52 02-765 Warszawa, Poland

1.4 გადაუდებელი დახმარების ტელეფონის ნომერი
32 61-56-330 ან 604 09 75 89 (კომპანიის ოფისი: ორშ-პარ. 8.00-16.00)
გადაუდებელი დახმარების ერთიანი სატელეფონო ნომერი 112

პარაგრაფი 2: საფრთხეების იდენტიფიკაცია

2.1 ნივთიერების ან ნარევის კლასიფიკაცია
ფიზიკურ-ქიმიური საშიშროება:
პროდუქტი არ არის კლასიფიცირებული საშიშროების არცერთ კატეგორიაში:

ჯანმრთელობის საშიშროება:

მწვავე ტოქსიკურობა, კატეგორია 4. მავნეა გადაყლაპვისას.
კატ. 4 ინჰალაციური ტოქსიკურობა.
მავნეა ჩასუნთქვისას.

ეკოლოგიური საშიშროება:
წყლის გარემოს მიმართ საშიშროება, მწვავე ტოქსიკურობა, კატეგორია 1.
H400 ძალიან ტოქსიკურია წყლის ორგანიზმებისათვის.
წყლის გარემოს მიმართ საშიშროება, ქრონიკული ტოქსიკურობა, კატეგორია 1.
H410 ძალიან ტოქსიკურია წყლის ორგანიზმებისათვის მოქმედების გრძელვადიანი შედეგებით.

2.2 ეტიკეტის ელემენტები:

პიკტოგრამები:



სასიგნალო სიტყვა: **გაფრთხილება**
საშიშროების შესახებ განცხადებები
H302 მავნეა გადაყლაპვისას.
H332 მავნეა ჩასუნთქვისას.
H410 ძალიან ტოქსიკურია წყლის ორგანიზმებისათვის მოქმედების გრძელვადიანი შედეგებით.

გამაფრთხილებელი განცხადებები

P261 არ შეისუნთქოთ მტვერი/ორთქლი/შხეფები.
P270 პრეპარატის გამოყენების პროცესში აკრძალულია ჭამა, დალევა ან თამბაქოს მოწევა.
P273 პრეპარატი არ უნდა მოხვდეს ბუნებრივ გარემოში.

ორგანზა	უსაფრთხოების მონაცემთა ფურცელი
ORGANZA	შედგენილია ევროკომისიის (EU) 2015/830 რეგულაციის შესაბამისად, 28 მაისის 2015. (REACH) თარიღი: 2017-01-31 განახლება: არ გამოიყენება ვერსია: 1.0

P280 გამოიყენეთ დამცავი ხელთათმანი, დამცავი სპეცტანსაცმელი, თვალების დამცავი საშუალებები.
P312 თუ თავს ცუდად გრძნობთ მიმართეთ ექიმს.
P501 შიგთავსი/ტარა გადაიტანეთ სახიფათო ნარჩენების უტილიზაციის სანქცირებულ საწარმოში.

2.3. სხვა რისკები

არ შეიცავს ნივთიერებებს, რომლებიც აკმაყოფილებს PBT ან vPvB კრიტერიუმებს.

პარაგრაფი 3: შემადგენლობა/ ინფორმაცია ინგრედიენტების შესახებ

3.2. ნარევები

სახელწოდება: აცეტამიპრიდი / (E) -N1 - [(6-ქლორ-3-პირიდილ) მეთილ] -N2-ციანო-N1-მეთილაცეტამიდინი
შემცველობა: 9.1%

EC ნომერი: არ აქვს
CAS ნომერი: 135410-20-7
ინდექსის ნომერი: 608-032-00-2
კლასიფიკაცია: მწვავე ტოქ. 4 H302; წყლისათვის ქრონიკული 3 H412

სახელწოდება: ლამბდა-ციპლოტრინი / (E) -N1 - [(6-ქლორ-3-პირიდილ) მეთილ] -N2-ციანო-N1-მეთილაცეტამიდინი
შემცველობა: 9.1%

EC ნომერი: 415-130-7
CAS ნომერი: 91465-08-6
ინდექსის ნომერი: 607-252-00-6
კლასიფიკაცია: მწვავე ტოქ. 3 H301; მწვავე ტოქ. 4 H312; მწვავე ტოქ. 2 H330;
წყლისათვის ქრონიკული 1 H400; წყლისათვის ქრონიკული 1 H410

სხვა პარაგრაფებზე მითითება: ფრაზების სრული ტექსტი მოცემულია უსაფრთხოების მონაცემთა ფურცლის მე-16 პარაგრაფში.

პარაგრაფი 4: პირველადი დახმარების ზომები

4.1. პირველადი დახმარების ზომების აღწერა

ავარიის ან ცუდად ყოფნის შემთხვევაში სასწრაფოდ მიმართეთ ექიმს (თუ შესაძლებელია, აჩვენეთ გამოყენების ინსტრუქცია ან უსაფრთხოების მონაცემთა ფურცელი).
პირველადი დახმარების აღმოჩენი: ყურადღება მიაქციეთ პირად უსაფრთხოებას.

ზემოქმედება შესუნთქვისას

დაშავებული გაიყვანეთ ზემოქმედების ზონიდან სუფთა ჰაერზე. მიაწოდეთ სუფთა ჰაერი, სიმპტომების მიხედვით მიმართეთ ექიმს. თუ დაშავებული უგონო მდგომარეობაშია, მოათავსეთ იგი სტაბილურ მჯდომარე პოზიციაში და მიმართეთ ექიმს.

კანზე მოხვედრისას (კანის დაზინძურება)

დაუყოვნებლივ გაიხადეთ დაზინძურებული, სველი ტანსაცმელი, სხეულის დაზინძურებული ზედაპირი დაიბანეთ საპონითა და დიდი რაოდენობის წყლით. თუ კანის გაღიზიანება (სიწითლე) გამოვლინდა, მიმართეთ ექიმს.

თვალის დაზინძურება

დაუყოვნებლივ გამოირეცხეთ თვალები დიდი რაოდენობის სუფთა გამდინარე წყლით. პირველადი გამორეცხვის შემდეგ, მოიხსენით კონტაქტური ლინზები და გააგრძელეთ გამორეცხვა მინიმუმ 15 წუთის განმავლობაში. თუ სიმპტომები ნარჩუნდება, მიმართეთ ოფთალმოლოგს.

ორგანზა	უსაფრთხოების მონაცემთა ფურცელი
ORGANZA	შედგენილია ევროკომისიის (EU) 2015/830 რეგულაციის შესაბამისად, 28 მაისის 2015. (REACH) თარიღი: 2017-01-31 განახლება: არ გამოიყენება ვერსია: 1.0

ჩაყლაპვის შემდეგ:

გამორეცხეთ პირის ღრუ საფუძვლიანად. არ გამოიწვიოთ ღებინება. სასწრაფოდ მიმართეთ ექიმს. ღებინების დროს, თავი დახარეთ ისე, რომ კუჭის შიგთავსი არ მოხვდეს ფილტვებში. შენიშვნა: თუ დაშავებული ადამიანი უგონო მდგომარეობაშია ან გონებას კარგავს, არ მისცეთ სასმელი ან წამალი პერორალურად.

4.2 ყველაზე მნიშვნელოვანი, როგორც მწვავე, ასევე შეყოვნებული სიმპტომები და ეფექტები

მოწამვლის სიმპტომები

- ჩასუნთქვისას: თავის ტკივილი ან თავბრუსხვევა, სასუნთქი სისტემის გაღიზიანება.
- თვალში მოხვედრის შემდეგ: გაღიზიანება, თვალის სიწითლე.
- კანზე მოხვედრის შემდეგ: შეიძლება გამოიწვიოს სიწითლე, გაღიზიანება.
- ჩაყლაპვის შემდეგ: შესაძლებელია გულისრევა, მუცლის ტკივილი.

4.3. ნებისმიერი გადაუდებელი სამედიცინო დახმარების და განსაკუთრებული მკურნალობის საჭიროების ჩვენება:

პირველადი (სამედიცინო) დახმარების შესახებ ინფორმაცია ექიმისათვის

ანტიდოტი – არ არის. მკურნალობა სიმპტომატურია.

პარაგრაფი 5: ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებები

5.1. ხანძრის ჩაქრობის საშუალებები

ზოგადი რეკომენდაციები

არაუფლებამოსილი პირები, რომლებიც არ მონაწილეობენ ხანძრის ჩაქრობაში, გაიყვანეთ საშიში ზონიდან. გაიტანეთ აალების ყველა წყარო, არ მოწიოთ. საჭიროების შემთხვევაში მიმართეთ სახანძრო ბრიგადას, ტელ. 998. არ ჩაისუნთქოთ ხანძრის ან აფეთქების შედეგად წარმოქმნილი ორთქლი. საფრთხის ქვეშ მყოფი კონტეინერები გააგრძელეთ წყლით. მოახდინეთ დაბინძურებული ხანძარსაწინააღმდეგო წყალის იზოლირება, თავიდან აიცილეთ კანალიზაციის სისტემაში ან კანალიზაციაში ჩადინება. ხანძრის ნარჩენები და დაბინძურებული ხანძარსაწინააღმდეგო წყალი უნდა განადგურდეს რეგულაციების შესაბამისად.

ხანძრის ჩაქრობის ხელსაყრელი საშუალებები: მაგალითად, ქაფი, ნახშირორჟანგი (CO₂), მშრალი ფხვნილის ან წყლის ნისლის ცეცხლმაქრი.

ხანძრის ჩაქრობის შეუსაბამო საშუალებები: ძლიერი წყლის ჭავლი არ არის რეკომენდებული. წყალის გადინება უნდა შემოსაზღვროს, მაგალითად, დროებითი მიწის ბარიერით.

5.2. ნივთიერებიდან ან ნარევიდან წარმოქმნილი განსაკუთრებული საფრთხეები

ხანძრის შემთხვევაში შეიძლება გამოიყოს თერმული დაშლის აქროლადი ტოქსიკური პროდუქტები: აზოტის ოქსიდები (NO_x), ნახშირბადის ოქსიდები.

5.3. რეკომენდაციები მეხანძრეებისთვის

გამოიყენეთ რესპირატორული დამცავი მოწყობილობა ავტონომიური სასუნთქი აპარატით, დამცავი ხელთათმანი და რეზინის ფეხსაცმელი.

დახურულ სივრცეში ხანძრის გაჩენის შემთხვევაში, ჩაიცვით აირშეულწევი კომბინიზონი სასუნთქი აპარატით.

პარაგრაფი 6: ღონისძიებები შემთხვევითი დაღვრის/გაფანტვის დროს

6.1. პირადი უსაფრთხოების ზომები, დამცავი აღჭურვილობა და საგანგებო პროცედურები

6.1.1. *არასაგანგებო პერსონალისთვის:* არ დაუშვათ დაბინძურების ადგილთან მესამე პირების წვდომა. მოერიდეთ ნარევთან უშუალო კონტაქტს. უზრუნველყავით სათანადო განიავება. თავიდან აიცილეთ პრეპარატის თვალბრუნვა, კანთან კონტაქტი და ჩასუნთქვა. ამასთან გაითვალისწინეთ მოცურების საშიშროება.

6.1.2. *მსველეებისთვის:* მოერიდეთ პრეპარატთან კონტაქტს და თვალბრუნვას და კანის დაბინძურებას, არ შეისუნთქოთ სამუშაო ხსნარის ორთქლი. გამოიყენეთ შესაბამისი ინდივიდუალური დაცვის საშუალებები - დამცავი ტანსაცმელი,

ორგანზა	უსაფრთხოების მონაცემთა ფურცელი
ORGANZA	შედგენილია ევროკომისიის (EU) 2015/830 რეგულაციის შესაბამისად, 28 მაისის 2015. (REACH) თარიღი: 2017-01-31 განახლება: არ გამოიყენება ვერსია: 1.0

დამცავი ხელთათმანი, დამცავი სათვალეები ან სახის დამცავი საშუალებები (იხილეთ მე-8 პარაგრაფი). სამაშველო ოპერაციის დასრულების შემდეგ გაიხადეთ დაბინძურებული სპეცტანსაცმელი და ფეხსაცმელი.

6.2 გარემოსდაცვითი უსაფრთხოების ზომები

არ ჩაღვართ კანალიზაციაში. თავდან აიცილეთ ზედაპირული და მიწისქვეშა წყლების დაბინძურება. მდინარეების ან ტბების დაბინძურების შემთხვევაში აცნობეთ შესაბამის სამაშველო სამსახურს.

6.3. გავრცელების ლოკალიზაციისა და დასუფთავებისათვის საჭირო მასალა და მეთოდები

თუ შესაძლებელია, შეაჩერეთ გაჟონვა (შეაკავეთ სითხის ჩამოდინება, დალუქეთ ის). შემოზღუდეთ დიდი რაოდენობით დაღვრილი პროდუქტი და ამოტუმბეთ შეგროვებული სითხე. ნარჩენების შეწოვა მოახდინეთ ინერტული შთანმთქმელი მასალით, მაგ., ქვიშა, დიატომა და ა.შ. შეაგროვეთ ძლიერ დაბინძურებულ ნიადაგთან ერთად მარკირებულ ნარჩენების კონტეინერში და განკარგეთ, როგორც სახიფათო მასალა მე-13 პარაგრაფში წარმოდგენილი რეკომენდაციების შესაბამისად. შეაგროვეთ დაბინძურებული წყალი და გაიტანეთ უტილიზაციისათვის.

6.4 მითითება სხვა პარაგრაფებზე

უტილიზაცია/განთავსება მოახდინეთ უსაფრთხოების მონაცემთა ფურცლის მე-13 პარაგრაფის შესაბამისად. გამოიყენეთ ინდივიდუალური დაცვის საშუალებები მე-8 პარაგრაფის შესაბამისად.

პარაგრაფი 7: გამოყენება და შენახვა

7.1. სიფრთხილის განსაკუთრებული ზომები გამოყენების დროს

ქიმიური ნივთიერებებთან მუშაობის დროს დაიცავით ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების შესახებ წესები და რეგულაციები. თავიდან აიცილეთ კანთან და თვალებთან კონტაქტი. არ შეისუნთქოთ ორთქლი ან ნისლი. გამოიყენეთ სათანადო განიავების დროს.

მუშაობის დროს აკრძალულია ჭამა, დალევა ან თამბაქოს მოწევა. ჭამის, დალევის ან თამბაქოს მოწევის წინ დაიბანეთ ხელები და სახე. ინდივიდუალური დაცვის საშუალებების შესახებ იხილეთ მე-8 პარაგრაფი.

7.2 უსაფრთხო შენახვის პირობები, ნებისმიერი შეუთავსებლობის ჩათვლით

შეინახეთ ქარხნულ, სათანადოდ ეტიკეტირებულ და მჭიდროდ დახურულ ტარაში, არაუფლებამოსილი პირების წვდომის აკრძალვის პირობებში. არ შეინახოთ საკვებ პროდუქტებთან, სასმელთან და ცხოველის საკვებთან ერთად. შეინახეთ მშრალ, კარგად განიავებად და გრილ ოთახებში.

7.3. კონკრეტული საბოლოო გამოყენება

მცენარეთა დაცვის პროდუქტი. დამატებითი ინფორმაციის მისაღებად დაუკავშირდით მწარმოებელს/მომწოდებელს.

პარაგრაფი 8: ექსპოზიციის კონტროლი/პირადი უსაფრთხოება

8.1. კონტროლის პარამეტრები

NDS, NDSCh - მარკირების გარეშე

შრომისა და სოციალური პოლიტიკის მინისტრის 2002 წლის 29 ნოემბრის დებულება სამუშაო გარემოში ჯანმრთელობისათვის საშიშრო ფაქტორების მაქსიმალურად დასაშვები კონცენტრაციებისა და ინტენსივობის შესახებ (Journal of Laws 2002 No. 217, item 1833, as amended).

8.2. ექსპოზიციის/ზემოქმედების კონტროლი

8.2.1. შესაბამისი საინჟინრო კონტროლი:

უზრუნველყავით კარგი ადგილობრივი გამწოვი ვენტილაცია და შენობის საერთო ვენტილაცია. არასაკმარისი ვენტილაციის და ორთქლის მაღალი კონცენტრაციის შემთხვევაში გამოიყენეთ რესპირატორული დაცვის საშუალებები. სამუშაო ადგილების სიახლოვეს რეკომენდებულია თვალის ამოსარეცხი საშუალებებისა და უსაფრთხოების საშუალებების დამონტაჟება.

ორგანზა ORGANZA	უსაფრთხოების მონაცემთა ფურცელი შედგენილია ევროკომისიის (EU) 2015/830 რეგულაციის შესაბამისად, 28 მაისის 2015. (REACH) თარიღი: 2017-01-31 განახლება: არ გამოიყენება ვერსია: 1.0
--------------------------------------	--

8.2.2. ინდივიდუალური დაცვის ზომები:

შესაბამისი დაცვის ზომების გამოყენების აუცილებლობა და შერჩევა უნდა მოხდეს პროდუქტისგან წარმოქმნილი საფრთხის, სამუშაო ადგილზე პირობებისა და პროდუქტთან მოპყრობის წესების გათვალისწინებით. გამოიყენეთ მხოლოდ აღიარებული მწარმოებლების ინდივიდუალური დაცვის საშუალებები.

ა) თვალის ან სახის დაცვა:

თუ არსებობს სითხის თვალში შემხეფების საშიშროება (მაგ. ჩასხმისას), გამოიყენეთ დამცავი სათვალე მჭიდროდ მორგებული ჩარჩოთი (მაგ. EN 166 სათვალეები).

ბ) კანის დაცვა:

ხელების დაცვა:

ბუნებრივი რეზინის, ბუტილის რეზინის, ნეოპრენის (პოლიქლოროპროპილის რეზინის), ნიტრილსა და ქიმიური აგენტების მიმართ მდგრადი სხვა მასალებისგან დამზადებული დამცავი ხელთათმანი (PN-EN 374-1: 2005). რეკომენდებულია ხელის დამცავი კრემი.

სხვა: სხეულის დაცვის საშუალებები უნდა შეირჩეს განსახორციელებელი აქტივობებისა და შესაძლო ზემოქმედების მიხედვით, მაგალითად, წინსაფარი, დამცავი ფეხსაცმელი, ქიმიური ნივთიერებების მიმართ მდგრადი დამცავი სპეცტანსაცმელი (EN 14605-ის შესაბამისად).

გ) რესპირატორული დაცვა:

შეწამვლის პროცესში და ორთქლის მაღალი კონცენტრაციის დროს გამოიყენეთ ინდივიდუალური რესპირატორული დამცავი საშუალებები ყავისფერი ორთქლის ფილტრითა და A, A2 P2 ასოთი (PN-EN 14387: 2006).

შრომის ჰიგიენა: გამოიყენეთ სამრეწველო შრომის ჰიგიენის ზოგადი წესები. დაუყოვნებლივ გაიხადეთ დაბინძურებული ტანსაცმელი. დაიბანეთ ხელები და სახე ყოველი შესვენების წინ. მუშაობის შემდეგ კარგად დაიბანეთ მთელი სხეული. პროდუქტის გამოყენების დროს აკრძალულია ჭამა ან დაღევა. არ შეინახოთ საკვები პროდუქტები და ცხოველების საკვები სამუშაო ადგილზე. გარეცხეთ ტანსაცმელი განცალკევებით ხელმეორედ გამოყენებამდე.

დ) თერმული საფრთხეები: არ წარმოიქმნება.

8.2.3. გარემოზე ზემოქმედების კონტროლი:

გამოიყენეთ კონტეინერები, რომლებიც ხელს უშლის კონცენტრატის გარემოში უკონტროლო მოხვედრას.

პარაგრაფი 9: ფიზიკური და ქიმიური თვისებები

9.1 ინფორმაცია ძირითად ფიზიკურ და ქიმიურ მახასიათებლებზე:

გარეგანი სახე	სითხე, თეთრი სუსპენზია
სუნი	მონაცემი არ არის ხელმისაწვდომი
სუნის ზღვრული	მონაცემი არ არის ხელმისაწვდომი
pH	pH 5-7
ღებობის ტემპერატურა/გაცივნის ტემპერატურა	<0°C
დუღილის საწყისი ტემპერატურა და დუღილის დიაპაზონი:	100 °C
აალების ტემპერატურა	მონაცემი არ არის ხელმისაწვდომი
აორთქლების სიჩქარე	მონაცემი არ არის ხელმისაწვდომი
აალებადობა (მყარი, გაზი)	არ გამოიყენება
აალებადობის ან ფეთქებადობის ქვედა/ზედა ზღვრები	მონაცემი არ არის ხელმისაწვდომი
ორთქლის წნევა	მონაცემი არ არის ხელმისაწვდომი
ორთქლის სიმკვრივე	მონაცემი არ არის ხელმისაწვდომი
ფარდობითი სიმკვრივე	1.1 კგ/დმ ³ (20°C)
წყალში ხსნადობა	წყალში ხსნადი

ორგანზა	უსაფრთხოების მონაცემთა ფურცელი
ORGANZA	შედგენილია ევროკომისიის (EU) 2015/830 რეგულაციის შესაბამისად, 28 მაისის 2015. (REACH) თარიღი: 2017-01-31 განახლება: არ გამოიყენება ვერსია: 1.0

განაწილების კოეფიციენტი (ნ-ოქტანოლი/წყალი)
 თვითაალების ტემპერატურა
 დაშლის ტემპერატურა
 სიბლანტე
 ფეთქებადი თვისებები
 ჟანგვითი თვისებები

log Pow იმაზამოქსი: 0.8; ლამბდა-ციკლოტრინი: 7
 მონაცემი არ არის ხელმისაწვდომი **დაშლა**
 მონაცემი არ არის ხელმისაწვდომი
 მონაცემი არ არის ხელმისაწვდომი
 არ აქვს
 არ აქვს

9.2. დამატებითი ინფორმაცია:

მონაცემი არ არის ხელმისაწვდომი

პარაგრაფი 10: სტაბილურობა და რეაქტიულობა

10.1. რეაქტიულობა

შენახვისა და დანიშნულებისამებრ გამოყენების პირობებში – არ ავლენს რეაქციის უნარიანობას

10.2. ქიმიური მდგრადობა

ნარევი სტაბილურია დანიშნულებისამებრ გამოყენებისა და შენახვის პირობებში.

10.3. სახიფათო რეაქციების შესაძლებლობა

გამოყენებისა და შენახვის ნორმალურ პირობებში სახიფათო რეაქციები არ ხდება.

10.4. ასარიდებელი გარემოებები

შენახვის ტემპერატურის დასაშვები დიაპაზონის გარეთ, მზის პირდაპირი სხივები.

10.5. შეუთავსებელი მასალები

მოერიდეთ ძლიერ მჟავებთან და ფუძეებთან (ტუტეებთან) და დამჟანგავ აგენტებთან კონტაქტს.

10.6. საშიში დაშლის პროდუქტები: აზოტის ოქსიდები, ნახშირბადის მონოქსიდი.

პარაგრაფი 11: ტოქსიკოლოგიური ინფორმაცია

11.1. ინფორმაცია ტოქსიკოლოგიური ეფექტების შესახებ

11.1.2. ნარევები

მწვავე ტოქსიკურობა: ინგრედიენტებიდან გამომდინარე ნარევი არის სახიფათო - მავნეა გადაყლაპვისას,
კანის კოროზია/გაღიზიანება: ინგრედიენტების შემცველობიდან გამომდინარე ნარევი არ აკმაყოფილებს
 გამოსაკვლევ კრიტერიუმს.

თვალის სერიოზული დაზიანება/გაღიზიანება: შეიცავს ალკილპოლიგლუკოზიდს, რომელიც იწვევს თვალის სერიოზულ
 დაზიანებას. **რესპირატორული ან კანის სენსიბილიზაცია:** ინგრედიენტებიდან გამომდინარე ნარევი არის სახიფათო-
 მავნეა ჩასუნთქვისას.

სასქესო უჯრედების მუტაგენურობა: ინგრედიენტების შემცველობიდან გამომდინარე, ნარევი არ აკმაყოფილებს
 გამოსაკვლევ კრიტერიუმს,

კანცეროგენულობა: ინგრედიენტების შემცველობიდან გამომდინარე, ნარევი არ აკმაყოფილებს გამოსაკვლევ
 კრიტერიუმს,

რეპროდუქციული ტოქსიკურობა: ინგრედიენტების შემცველობიდან გამომდინარე, ნარევი არ აკმაყოფილებს
 გამოსაკვლევ კრიტერიუმს,

ორგანზა ORGANZA	უსაფრთხოების მონაცემთა ფურცელი შედგენილია ევროკომისიის (EU) 2015/830 რეგულაციის შესაბამისად, 28 მაისის 2015. (REACH) თარიღი: 2017-01-31 განახლება: არ გამოიყენება ვერსია: 1.0
--------------------------------------	--

STOT – ერთჯერადი ექსპოზიცია: ინგრედიენტების შემცველობიდან გამომდინარე, ნარევი არ აკმაყოფილებს გამოსაკვლევ კრიტერიუმს,

STOT – განმეორებითი ექსპოზიცია: ინგრედიენტების შემცველობიდან გამომდინარე, ნარევი არ აკმაყოფილებს გამოსაკვლევ კრიტერიუმს,

ასპირაციის საფრთხე: არსებულ მონაცემებზე დაყრდნობით არ აკმაყოფილებს კლასიფიკაციის კრიტერიუმებს.

მონაცემები აქტიური ნივთიერების, აცეტამიპრიდისათვის:

მწვავე პერორალური ტოქსიკურობა LD₅₀/ვირთაგვა 146-217მგ/კგ

მწვავე დერმალური ტოქსიკურობა LD₅₀ /ვირთაგვა >2000 მგ/კგ

ინჰალაციური ტოქსიკურობა LD₅₀ /ვირთაგვა 290 მგ/ლ/4სთ

კანის გაღიზიანება: არ იწვევს კანის გაღიზიანებას/*ბოცვერი*

თვალის გაღიზიანება: არ იწვევს თვალის გაღიზიანებას/*ბოცვერი*

მასენსიბილიზებული მოქმედება: არ არის ალერგიული

მონაცემები აქტიური ნივთიერების ლამბდა-ციპლოტრინისათვის:

მწვავე პერორალური ტოქსიკურობა LD₅₀/ვირთაგვა 56-79 მგ/კგ

მწვავე დერმალური ტოქსიკურობა LD₅₀ /ვირთაგვა 632-696 მგ/კგ

ინჰალაციური ტოქსიკურობა მონაცემი არ არის ხელმისაწვდომი

კანის გაღიზიანება: არ იწვევს კანის გაღიზიანებას/*ბოცვერი*

თვალის გაღიზიანება/*კურდღელი*: ზომიერად გამაღიზიანებელი

მასენსიბილიზებული მოქმედება: არ არის ალერგიული

ინფორმაცია ექსპოზიციის/ზემოქმედების სავარაუდო გზების შესახებ - გაფრთხილება! პროდუქტი სრულად არ არის გამოცდილი

კანის დაზიანება: შეუძლია გამოიწვიოს კანის გაღიზიანება, ალერგიული რეაქცია.

კანიდან შეწოვა: კანიდან შეიწოვისას შეიძლება იყოს საზიანო.

თვალის დაზიანება: შეიძლება გამოიწვიოს თვალის სერიოზული დაზიანება (შემადგენლობისგან).

ზემოქმედება ჩასუნთქვისას: შეიძლება იყოს ლორწოვანი გარსებისა და ზედა სასუნთქი გზების გამაღიზიანებელი.

მოხმარება: შეიძლება იყოს საზიანო გადაყლაპვისას.

პარაგრაფი 12: ეკოლოგიური ინფორმაცია

12.1. ტოქსიკურობა

აღნიშნული ნარევისთვის ტესტები არ არის ხელმისაწვდომი.

მონაცემები აქტიური ნივთიერების, აცეტამიპრიდისათვის:

ორგანზა ORGANZA	უსაფრთხოების მონაცემთა ფურცელი შედგენილია ევროკომისიის (EU) 2015/830 რეგულაციის შესაბამისად, 28 მაისის 2015. (REACH) თარიღი: 2017-01-31 განახლება: არ გამოიყენება ვერსია: 1.0
--------------------------------------	--

თევზების მიმართ ტოქსიკურობა: LC₅₀- *Cyprinus carpio* (კობრი) > 100 მგ /ლ/ 96 სთ

დაფნიასა და წყლის უხერხემლოების მიმართ ტოქსიკურობა: EC₅₀ - *Daphnia magna* (წყლის რწყილი) > 100 მგ/ლ/ 48სთ

წყალმცენარეების მიმართ ტოქსიკურობა: EC₅₀ - *S. capricornutum* (მწვანე წყალმცენარე) <98.8 მგ/ლ /120სთ

მონაცემები აქტიური ნივთიერების ლამბდა-ციპალოტრინისათვის:

თევზების მიმართ ტოქსიკურობა: LC₅₀- *Oncorhynchus mykiss* (ცისარტყელა კალმახი) 0.36 მკგ/ლ/ 96 სთ
LC₅₀- 0.21 მკგ / l / 96სთ *Lepomis macrochirus*

დაფნიასა და წყლის უხერხემლოების მიმართ ტოქსიკურობა: EC₅₀ - *Daphnia magna* (წყლის რწყილი) 0.36 მგ/ლ/ 48სთ

წყალმცენარეების მიმართ ტოქსიკურობა: EC₅₀ - *S. capricornutum* (მწვანე წყალმცენარე) > 1000 მკგ/ლ /120სთ

12.2. მდგრადობა და დეგრადაცია

აკეტამიპრიდი – ადვილად განიცდის ბიოდეგრადაციას – DT₅₀ 1-30 დღე

ლამბდა-ციპალოტრინი – ადვილად განიცდის ბიოდეგრადაციას – DT₅₀ 23-82 დღე

12.3. ბიოაკუმულაციის პოტენციალი: ინფორმაცია არ არის ხელმისაწვდომი.

12.4. მიგრაცია /მობილურობა ნიადაგში: ინფორმაცია არ არის ხელმისაწვდომი.

12.5. PBT და vPvB შეფასების შედეგები

პროდუქტი არ შეიცავს ნივთიერებებს, რომლებიც აკმაყოფილებს PBT (მდგრადი, ბიოაკუმულაციური და ტოქსიკური) და vPvB (ძლიერ მდგრადი და ძლიერ ბიოაკუმულაციური) კრიტერიუმებს.

12.6. სხვა არახელსაყრელი ეფექტები

პროდუქტი არ შეიცავს ნივთიერებებს, რომლებიც მითითებულია ოზონის შრის დამშლელი ნივთიერებების შესახებ (EU) 2037/2000 რეგულაციის დანართში I.

პარაგრაფი 13: განკარგვა/უტილიზაცია

13.1. ნარჩენების გაუვნებლობის მეთოდები

ნარჩენების უტილიზაცია

კონტეინერში მოთავსებული პროდუქტი გაუგზავნეთ ნარჩენების უფლებამოსილ მიმღებს/სამსახურს.

არ გადაყაროთ მუნიციპალურ ნარჩენებთან ერთად, არ ჩაღვაროთ კანალიზაციის სისტემაში, თავიდან აიცილეთ მიწისქვეშა და ზედაპირული წყლების დაბინძურება.

გამოყენებული პროდუქტის ტარის უტილიზაცია

პრეპარატის ცარიელი ტარა უნდა დაუბრუნდეს გამყიდველს (დისტრიბუტორს ან მწარმოებელს), ვისგანაც შეიძინეთ პრეპარატი.

აკრძალულია მცენარეთა დაცვის საშუალებების ტარის საკუთარი ინიციატივით დაწვა.

აკრძალულია მცენარეთა დაცვის საშუალებების ცარიელი შეფუთვის სხვა მიზნებისთვის გამოყენება, მათ შორის მათი დამუშავება როგორც მეორადი მასალა.

ნარჩენების შესახებ 2012 წლის 14 დეკემბრის აქტი.

2013 წლის 13 ივნისის აქტი შეფუთვისა და შესაფუთი ნარჩენების მართვის შესახებ.

ორგანზა ORGANZA	უსაფრთხოების მონაცემთა ფურცელი შედგენილია ევროკომისიის (EU) 2015/830 რეგულაციის შესაბამისად, 28 მაისის 2015. (REACH) თარიღი: 2017-01-31 განახლება: არ გამოიყენება ვერსია: 1.0
--------------------------------------	--

პარაგრაფი 14: ტრანსპორტირების შესახებ ინფორმაცია

14.1. გაეროს ნომერი	3082
14.2. გაეროს სათანადო გადაზიდვის სახელი	ეკოლოგიურად საშიში ნივთიერება, სითხე, NOS
14.3. საშიშროების კლასი ტრანსპორტირებისას	9
14.4. შეფუთვის ჯგუფი	III
14.5. ეკოლოგიური საფრთხეები	არ ექვემდებარება შევსებას
14.6. უსაფრთხოების განსაკუთრებული ზომები მომხმარებლისთვის	კლასიფიკაციის კოდი: M6; LQ: 7
14.7. დაუფასოებელი ტვირთების გადაზიდვა MARPOL II დანართისა და IBC კოდექსის შესაბამისად:	არ ექვემდებარება შევსებას

პარაგრაფი 15: მარეგულირებელი ინფორმაცია

15.1. ნივთიერებისა და ნარეგებისთვის უსაფრთხოების, ჯანმრთელობისა და გარემოსდაცვითი სპეციფიკური რეგულაციები/ კანონმდებლობა

**ინფორმაცია ნივთიერების/ნარეგის სახელმწიფო სამართლებრივი სტატუსის შესახებ: ---
სამართლებრივი აქტები:**

- ევროპარლამენტისა და საბჭოს 2006 წლის 18 დეკემბრის რეგულაციამ (EC) No 1907/2006 ქიმიურ ნივთიერებათა რეგისტრაციის, შეფასების, ავტორიზაციისა და შეზღუდვის შესახებ (REACH), რომელიც დაადგინა ქიმიურ ნივთიერებათა ევროპული სააგენტომ, ცვლილებები შეიტანა 1999/45/EC დირექტივაში და გააუქმა საბჭოს (EEC) No 793/93 რეგულაცია და კომისიის (EC) No 1488/94 რეგულაცია, ასევე ევროსაბჭოს 76/769/ EEC დირექტივა და კომისიის დირექტივა 91/155 / EEC, 93/67 / EEC, 93/105 / EEC და 2000/21 / EC (ცვლილებებით).
- 2015 წლის 28 მაისის კომისიის (EU) 2015/830 რეგულაცია, რომელმაც ცვლილებები შეიტანა ქიმიური ნივთიერებების რეგისტრაციის, შეფასების, ავტორიზაციისა და შეზღუდვის შესახებ (REACH) ევროპარლამენტისა და საბჭოს (EC) N 1907/2006 რეგულაციაში.
- შრომისა და სოციალური პოლიტიკის მინისტრის 2014 წლის 6 ივნისის დებულება სამუშაო გარემოში ჯანმრთელობისთვის მავნე ფაქტორების ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციისა და ინტენსივობის შესახებ (კანონთა ჟურნალი, 2014 წ. პუნქტი 817).
- ADR - ევროპული შეთანხმება სახიფათო ტვირთების საერთაშორისო საგზაო გადაზიდვების შესახებ (ძალაშია 2003 წლის 1 იანვრიდან, 1974 წლის 26 ივნისის კანონი, შრომის კოდექსი (გაერთიანებული კანონი, კანონთა ჟურნალი 1998 No. 21, პუნქტი 94).

15.2 ქიმიური უსაფრთხოების შეფასება: არ არის დასრულებული.

პარაგრაფი 16: დამატებითი ინფორმაცია

პროდუქტის (ნარეგის) კლასიფიკაციის კრიტერიუმები:

- საშიში ინგრედიენტების შემცველობაზე დაფუძნებული კლასიფიკაციის კრიტერიუმების მიხედვით, ორგანზა არ არის კლასიფიცირებული ფიზიკურ-ქიმიური საშიშროების არცერთ კატეგორიაში.

<p>ორგანზა</p> <p>ORGANZA</p>	<p align="center">უსაფრთხოების მონაცემთა ფურცელი</p> <p align="center">შედგენილია ევროკომისიის (EU) 2015/830 რეგულაციის შესაბამისად, 28 მაისის 2015. (REACH)</p> <p align="right">თარიღი: 2017-01-31 განახლება: არ გამოიყენება ვერსია: 1.0</p>
---	---

- საშიში ინგრედიენტების შემცველობაზე დაფუძნებული პრეპარატების კლასიფიკაციის კრიტერიუმების მიხედვით: ადამიანების მიმართ საშიშროების მიხედვით ორგანზა კლასიფიცირდება როგორც საშიში: მავნეა გადაყლაპვისას. მავნეა ჩასუნთქვისას.
- საშიში ინგრედიენტების შემცველობაზე დაფუძნებული პრეპარატების კლასიფიკაციის კრიტერიუმების მიხედვით: გარემოს მიმართ საშიშროების მიხედვით ორგანზა კლასიფიცირდება როგორც წყლის გარემოსათვის საშიში პრეპარატი. ძალიან ტოქსიკურია წყლის ორგანიზმებისათვის მოქმედების გრძელვადიანი შედეგებით.

ბარათის განახლებისას განხორციელებული ცვლილებები: არ გამოიყენება

ფრაზების სია (ბარათის მე-3 პარაგრაფიდან):

წყლისათვის მწვავე 1 სახიფათო წყლის გარემოსთვის, მწვავე საშიშროება, კატეგორია 1.

H400 ძალიან ტოქსიკურია წყლის ორგანიზმებისათვის.

წყლისათვის ქრონიკული 1 სახიფათო წყლის გარემოსთვის, ქრონიკული საშიშროება, კატეგორია 1.

H410 ძალიან ტოქსიკურია წყლის ორგანიზმებისათვის მოქმედების გრძელვადიანი შედეგებით.

წყლისათვის ქრონიკული 3 სახიფათო წყლის გარემოსთვის, ქრონიკული საშიშროება, კატეგორია 3.

H412 მავნეა წყლის ორგანიზმებისათვის, მოქმედების გრძელვადიანი შედეგებით.

მწვავე ტოქ. 4 H302 მწვავე ტოქსიკურობა, კატეგორია 4 მავნეა გადაყლაპვისას

მწვავე ტოქ. 3 H301; მწვავე ტოქსიკურობა, კატეგორია 3 ტოქსიკურია გადაყლაპვისას.

მწვავე ტოქ. 4 H312; მწვავე ტოქსიკურობა, კატეგორია 4 მავნეა კანზე მოხვედრისას.

მწვავე ტოქ. 2 H330 მწვავე ტოქსიკურობა, კატეგორია 2 სასიკვდილოა ჩასუნთქვისას.

უსაფრთხოების მონაცემთა ფურცლის განახლება: არ გამოიყენება

გამოყენების რეკომენდებული შეზღუდვები: გამოიყენეთ ეტიკეტზე მითითებული პრეპარატის გამოყენების ინსტრუქციის შესაბამისად.

სხვა აბრევიატურები და აკრონიმები:

EC – ნიშნავს ქიმიური ნივთიერებისათვის მინიჭებულ ნომერს ევროპაში არსებული ქიმიური ნივთიერებების რეესტრში (EINECS), ან ნივთიერებისათვის მინიჭებულ ნომერს ნოტიფიცირებული ქიმიური ნივთიერებების ევროპულ სიაში (ELINCS), ან ნომერს „არა მაკრომოლეკულების (NLP)“ ქიმიურ ჩამონათვალში.

CAS – არის ციფრული აღნიშვნა, რომელიც ენიჭება ქიმიურ ნივთიერებას ამერიკული ორგანიზაციის ქიმიური აბსტრაქტების სერვისის (CAS) მიერ, რომელიც იძლევა ქიმიური ნივთიერების იდენტიფიკაციის საშუალებას.

NDS - მაქსიმალური დასაშვები კონცენტრაცია; კონცენტრაციის საშუალო შეწონილი სიდიდე, რომლის ზემოქმედებამ ერთ მომუშავე პერსონალზე შრომის კოდექსით განსაზღვრულ დღიურ 8-საათიან და საშუალო კვირეულ სამუშაო დროში, მისი პროფესიული საქმიანობის განმავლობაში არ უნდა გამოიწვიოს უარყოფითი ცვლილებები მის ჯანმრთელობასა და მისი მომავალი თაობების ჯანმრთელობაზე.

STEL - მაქსიმალური დასაშვები ერთჯერადი კონცენტრაცია - კონკრეტული, ტოქსიკური ქიმიური ნივთიერების კონცენტრაციის საშუალო მნიშვნელობა, რომელმაც არ უნდა გამოიწვიოს მომუშავე პერსონალის ჯანმრთელობის მდგომარეობის უარყოფით ცვლილებები, თუ ეს ხდება სამუშაო გარემოში არა უმეტეს 15 წუთი და არა 2-ჯერ მეტი სიხშირით სამუშაო ცვლის განმავლობაში მინიმუმ 1 საათიანი დროის ინტერვალით.

NDSP -ტოქსიკური ქიმიური ნივთიერების კონცენტრაციის მნიშვნელობა, რომლის გადაჭარბება დაუშვებელია სამუშაო გარემოში ნებისმიერ დროს, მომუშავე პერსონალის ჯანმრთელობაზე ან სიცოცხლეზე საფრთხის გამო.

LC50 – სასიკვდილო კონცენტრაცია: ექსპერიმენტული კვლევებით სტატისტიკურად გამოითვლილი ქიმიური ნივთიერების რაოდენობა, რომელიც იწვევს ტესტირებული ორგანიზმების 50%-ის სიკვდილს, განსაზღვრულ პირობებში გამოყენებისას.

LD50 – (სასიკვდილო დოზა) ნივთიერების დოზა, მილიგრამებში სხეულის წონის ყოველ კილოგრამზე გაანგარიშებით, რომელიც საჭიროა საცდელი პოპულაციის 50%-ის მოსაკლავად.

EC50 - (ეფექტური კონცენტრაცია) სტატისტიკურად გაანგარიშებული ქიმიური ნივთიერების კონცენტრაცია გარემოში, რომელიც გარკვეულ პირობებში იწვევს ტოქსიკურ ეფექტებს მოცემული პოპულაციის საცდელი ორგანიზმების 50%-ში.

PBT– ფაქტორი, რომელიც განსაზღვრავს არის თუ არა ნივთიერება მდგრადი, ბიოაკუმულაციური და ტოქსიკური.

vPvB – ფაქტორი, რომელიც განსაზღვრავს არის თუ არა ნივთიერება ძალიან მდგრადი და ძალიან ბიოაკუმულაციური.

UN ნომერი – გაეროს ნომერი - მასალის საიდენტიფიკაციო ნომერი (UN ნომერი)

<p>ორგანზა</p> <p>ORGANZA</p>	<p align="center">უსაფრთხოების მონაცემთა ფურცელი</p> <p align="right">შედგენილია ევროკომისიის (EU) 2015/830 რეგულაციის შესაბამისად, 28 მაისის 2015. (REACH) თარიღი: 2017-01-31 განახლება: არ გამოიყენება ვერსია: 1.0</p>
---	---

ADR – ევროპული შეთანხმება სახიფათო ტვირთების საერთაშორისო საგზაო გადაზიდვების შესახებ.

მონაცემთა წყაროები, რომელთა საფუძველზეც შეიქმნა ბარათი:

1. Pesticide Manual (Twelfth Edition). The British Crop Protection Council
2. FAO Specifications For Plant Protection Products
3. ESIS database, <http://esis.jrc.ec.europa.eu>
4. Extoxnet - Oregon State University
5. მწარმოებლებისა და მომწოდებლების მასალათა უსაფრთხოების მონაცემთა ფურცელი და კომპანიის სხვა მასალები

დამატებითი ინფორმაციის მოპოვების შესაძლებლობა: უსაფრთხოების შესახებ დამატებითი ინფორმაცია ხელმისაწვდომია მწარმოებელთან.

რეკომენდაციები ტრენინგის შესახებ: გამოიყენეთ ეტიკეტზე მითითებული პრეპარატის გამოყენების ინსტრუქციის შესაბამისად.

უსაფრთხოების მონაცემების ფურცელში მოცემული მონაცემები ეყრდნობა ჩვენ დაგროვილ ცოდნასა და გამოცდილებას და პროდუქტს აღწერს უსაფრთხოების მოთხოვნების გათვალისწინებით. ეს მონაცემები არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ჩაითვალოს როგორც საკონლის ხარისხის აღწერა (პროდუქტის სპეციფიკაცია). უსაფრთხოების მონაცემთა ფურცელში მოცემული მონაცემებიდან ვერ იქნება მიღებული გარკვეული თვისებების ან პროდუქტის დანიშნულებისამებრ გამოყენების გარანტია. ჩვენი პროდუქტის მომხმარებლის ვალდებულებაა დამოუკიდებლად დაიცვას ყველა საპატენტო უფლება, ასევე არსებული რეგულაციები და დებულებები.